

**სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების
შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე
ფაკულტატიური ოქმი სიკვდილით დასჯის
ბაუჭების შესახებ**

მიღებული და გამოცხადებულია გენერალური ასამბლეის 44/128
რეზოლუციით 1989 წლის 15 დეკემბერს

ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს,

სჯერათ რა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება ხელს შეუწყობს ადამიანის
ღირსების ამაღლებას და ადამიანის უფლებების პროგრესულ განვითარებას;

იხსენებენ რა, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებების საყოველთაო
დეკლარაციას და 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო
და პოლიტიკური უფლებების შესახებ;

აღნიშნავენ რა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო
პაქტის მე-6 მუხლი მკაცრად მიუთითებს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება
სასურველია;

ითვალისწინებენ რა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება განხილულ უნდა იქნეს,
როგორც სიცოცხლის უფლებით სარგებლობის საკითხში პროგრესული ნაბიჯი,

სურვილით გამსჭვალულნი მოქმედებაში მოიყვანონ საერთაშორისო
მიზანდასახულობა სიკვდილით დასჯის
გაუქმების გზაზე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში არავინ
შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს.
2. თვითუღმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომები,
რათა მათი იურისდიქციის ფარგლებში გაუქმდეს სიკვდილით დასჯა.

მუხლი 2

1. წინამდებარე ოქმზე დათქმები დაუშვებელია, გარდა რატიფიკაციისა და
მიერთების დროს დადებული დათქმებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ომის
დროს სიკვდილით დასჯის გავრცელებას სამხედრო ხასიათის ყველაზე
საშიშ დანაშაულებებზე.

2. მონაწილე სახელმწიფომ, რომელიც რატიფიკაციის ან მიერთების დროს დათქმას აკეთებს, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს უნდა აცნობოს ქვეყნის კანონმდებლობის იმ დებულებების შესახებ, რომლებიც ომის დროს გამოიყენება.
3. მონაწილე სახელმწიფომ, რომელსაც გაკეთებული აქვს დათქმა, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს უნდა აცნობოს მის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მდგომარეობის დაწყების და დასრულების შესახებ.

მუხლი 3

წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოებმა მათ მიერ ადამიანის უფლებების კომიტეტში წარდგენილ მოხსენებაში პაქტის მე-40 მუხლის შესაბამისად უნდა შეიტანონ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ მიერ მიღებულ იქნა წინამდებარე ოქმის განსახორციელებლად.

მუხლი 4

პაქტის მონაწილე სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებმაც 41-ე მუხლის შესაბამისად აღიარეს ადამიანის უფლებების კომიტეტის კომპეტენცია, მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები, უნდა გაერცვლდეს ამ ოქმის დებულებებზეც, როდესაც ერთი მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს მის ვალდებულებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაწილე სახელმწიფოს რატიფიკაციის ან მიერთების დროს გაკეთებული აქვს საწინააღმდეგო განცხადება.

მუხლი 5

1966 წლის 16 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატური ოქმის მონაწილე სახელმწიფოებთან მიმართებაში, ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომპეტენცია მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებული ინდივიდებისაგან, უნდა გაერცვლდეს წინამდებარე ოქმის დებულებებზეც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაწილე სახელმწიფოს რატიფიკაციის ან მიერთების დროს გაკეთებული აქვს საწინააღმდეგო განცხადება.

მუხლი 6

1. წინამდებარე ოქმის დებულებები უნდა განვიხილოთ როგორც პაქტის დამატებითი დებულებები.
2. წინამდებარე ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად დათქმის გაკეთების შესაძლებლობების შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე ოქმის I მუხლის I პუნქტში აღნიშნული უფლება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას პაქტის მეოთხე მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 7

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად პაქტის ხელმომწერი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.
2. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას იმ სახელმწიფოს მიერ, რომელმაც მოახდინა პაქტის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას. რატიფიკაციის დოკუმენტის დეპონირება ხდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.
3. წინამდებარე ოქმი ღია უნდა იყოს მისაერთებლად იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს პაქტის რატიფიკაცია ან მიუერთდნენ მას.
4. მიერთება ძალაშია მიერთების დოკუმენტის გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირების შემდეგ.
გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა თითოეულ სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა ან მიუერთდა წინამდებარე ოქმს უნდა აცნობოს რატიფიკაციის ან მიერთების თვითეული დოკუმენტის დეპონირების შესახებ.